



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაბიშვილი ლევან ალექსანდრეს ძე

ლაბიშვილი ლევან ალექსანდრეს ძე (27. II. 1926, ქობულეთი, – 18. VIII. 2008, ბათუმი), ტექნოლოგი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (2002), სოფლის მეურნეობის მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი (1995). დაამთავრა საქართვე. სას.-სამ. ინ-ტის ტექნოლოგიის ფაკ-ტი ჩაის ტექნოლოგიის სპეციალობით (1948). ასპირანტურის დასრულების შემდეგ (1953) მუშაობდა ჩაის მრეწვ. საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 1962-იდან – საქართვე. კვების მრეწვ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ბათუმის ფილიალის დირექტორად, 1974-76 – ჩაის ფაბრიკების სანარმოო გაერთიანების გენ. დირექტორად. 1981-იდან იყო სუბტროპ. ნედლეულის შენახვა-გადამუშავების სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში.

ლ-მა შეისწავლა ჩაის უხეში ფოთლის ქიმ. თვისებები და მისგან ლაო-ჩაის დამზადების ტექნოლოგია; შეიმუშავა სრულიად ახალი კომპლექსური ტექნოლოგია როგორც მწვანე, ისე შავი ჩაისათვის.

თანაავტორებთან ერთად დაამუშავა ციტრუსოვანთა წვენების წარმოების წარჩენებისგან ვიტამინ P-ს პრეპარატის მიღების ტექნოლოგია, რ-ის საფუძველზე აღნიშნული პრეპარატის სანარმოებლად შეიქმნა სპეციალიზებული საამქრო ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქ-ნაში.

მიღებული აქვს მრავალი საავტორო მონუმბო გამოგონებაზე. მინიჭებული ჰქონდა აჭარის დამს. ინჟინრისა და გამომგონებლის საპატიო წოდებები. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

თხზ.: მწვანე აგურა ჩაის ბიოქიმია და ტექნოლოგია, „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1979.
